# კატასტროფის მართვის ფაზები და ძირითადი ტერმინები




## რეაგირება

კატასტროფის დროს ან როგორც კი კატასტროფა მოხდება გადაუდებელი დახმარების გაწევა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის, მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემცირების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

## ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ

კატასტროფის შედეგად დაზარალებული საზოგადოებისთვის დამხმარე საშუალებების და ობიექტების, საარსებო საშუალებების და საცხოვრებელი პირობების აღდგენა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება, რაც ასევე მოიცავს კატასტროფის რისკის ფაქტორების შესამცირებელ ძალისხმევას.

## ᲛᲘᲢᲘᲒᲐᲪᲘᲐ

მიტიგაცია (შერბილება) საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან შეზღუდვის ღონისძიებებს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება საფრთხეების უარყოფითი შედეგების თავიდან სრულად აცილება, თუმცა სხვადასხვა ქმედების მეშვეობით შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი მასშტაბები და სიმძაფრე.

## ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲐ

პრევენცია საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი შედეგების სრული აცილებაა. ტერმინი „პრევენცია“ გამოხატავს კონცეფციასა და განზრახვას, რაც წინასწარ გატარებული ღონისძიებებით პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებას გულისხმობს.

## პრევენცია

პრევენცია საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი შედეგების სრული აცილებაა. ტერმინი „პრევენცია" გამოხატავს კონცეფციასა და განზრახვას, რაც წინასწარ გატარებული ღონისძიებებით პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებას გულისხმობს.

## მზადება

სამთავრობო სტრუქტურების, რეაგირების და აღდგენის საკითხებში სპეციალიზებული ორგანიზაციების, თემებისა და ცალკეული პირების მიერ ცოდნის შეძენა და შესაძლებლობების განვითარება, რათა ეფექტიანად განხორციელდეს მოსალოდნელი, მოახლოებული ან უკვე გამოვლენილი სახიფათო მოვლენების ან გარემოებების წინასწარ განსაზღვრა, მათზე რეაგირება და შემდგომი აღდგენა.

## საგანგებო სიტუაცია

თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მოშლა, რომელიც მოიცავს ფართომასშტაბიან ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ ან ეკოლოგიურ დანაკარგებს ან/და ზეგავლენას, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარს.

## რისკი

მოვლენის ალბათობისა და მისი უარყოფითი შედეგების კომბინაცია.

## საფრთხე

სახიფათო მოვლენა, ნივთიერება, ადამიანის ქმედება ან ვითარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჯანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

## კატასტროფა

იმ მაშტაბების სტიქიური მოვლენა დროსა და სივრცეში, რომელიც თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მოშლას იწვევს, გულისხმობს დიდი მოცულობით ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ დანაკარგებს, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარს და შესაძლებლობას.

# მოწყვლადობა

მოწყვლადობა განისაზღვრება როგორც თემის, სისტემის ან ქონების ისეთი მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ მათ დაუცველობას საფრთხის საზიანო ზემოქმედებისგან. მოწყვლადობის მრავალი ასპექტი არსებობს, რომლებიც განპირობებულია მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორებით.